სსიპ – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილაბუსი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სილაბუსის დამტკიცების რეკვიზიტები:

სილაბუსი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს (ოქმი N14).

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

Georgian Language Educational Program

2. უმაღლესი განათლების საფეხური

----

3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე

მეოთხე დონე

4. კვალიფიკაციის დასახელება

არ ენიჭება

5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის კოდი და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)

----

6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ECTS კრედიტები და მათი განაწილება

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა ერთი სასწავლო წელი.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით, ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მსმენელის საკონტაქტო დატვირთვის დროს, მათ შორის შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსების 60 კრედიტს, მათ შორის არჩევით დისციპლინებს.

პროგრამა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს და ენობრივი დონის გათვალისწინებით ორ სხვადასხვა ბლოკს მოიცავს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, სასწავლო წლის დაწყებამდე გაივლიან პრეტესტს ქართულ ენაში და დადგენილი ენობრივი დონის მიხედვით გადანაწილდებიან მათთვის შესაბამის ბლოკში.

ბლოკი I : A1- B2 დონე

- ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2 და ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2 – 24 კრედიტი
- ინტეგრაცია 1 და ინტეგრაცია 2 - 10 კრედიტი
- ენის კომუნიკაციური ასპექტები A1_A2 – 5 კრედიტი

- ფუნქციური წერა - 5 კრედიტი
- ტოლერანტობა და მრავალფეროვნება – 4 კრედიტი
- მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის – 4 კრედიტი
- ქართული მითოლოგია ენის შესწავლისას - 4 კრედიტი
- ქართული როგორც მეორე ენა ზოგადი სამედიცინო და სარეაბილიტაციო მიმართულებების სტუდენტებისთვის/ქართული როგორც მეორე ენა სპორტის მიმართულებების სტუდენტებისთვის/ქართული როგორც მეორე ენა ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებისთვის[1] - 4 კრედიტი

ბლოკი II : A2- B2 დონე

- ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_ B1 და ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2 – 24 კრედიტი
- ინტეგრაცია 1 და ინტეგრაცია 2 - 10 კრედიტი
- ენის კომუნიკაციური ასპექტები A2_B1- 5 კრედიტი
- ფუნქციური წერა - 5 კრედიტი
- ტოლერანტობა და მრავალფეროვნება – 4 კრედიტი
- მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის – 4 კრედიტი
- ქართული მითოლოგია ენის შესწავლისას - 4 კრედიტი
- ქართული როგორც მეორე ენა ზოგადი სამედიცინო და სარეაბილოტაციო მიმართულებების სტუდენტებისთვის/ქართული როგორც მეორე ენა სპორტის მიმართულებების სტუდენტებისთვის/ქართული როგორც მეორე ენა ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებისთვის[2] - 4 კრედიტი

ყველა სავალდებულო-არჩევითი კურსი აგებულია საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა შესასწავლ ენაზე მიიღოს ცოდნა და ინფორმაცია ამა თუ იმ საგნის შესახებ. ამგვარი მიდგომით ენა ხდება ერთგვარი მედიატორი, რომელიც სტუდენტს მისთვის მნიშვნელოვანი შინაარსის გასაგებად და გადმოსაცემად სჭირდება. სავალდებულო-არჩევითი კურსების მთავარი მიზანი ენის შესწავლასთან ერთად საქართველოს კულტურის, ისტორიისა და საზოგადოების უკეთ გაცნობა და დაფასება.

7. სწავლების ენა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

ქართული

მისამართი: 0162 თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 49

8. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, თანახელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი.

მობ. 5 99 98 10 56. ელ-ფოსტა: nestanege@yahoo.com nestan.egetashvili@sportuni.ge

[1] სტუდენტი ირჩევის იმის გათვალისწინებით, თუ რომელ საბაკალავრო პროგრამაზე გეგმავს სწავლის გაგრძელებას
[2] სტუდენტი ირჩევის იმის გათვალისწინებით, თუ რომელ საბაკალავრო პროგრამაზე გეგმავს სწავლის გაგრძელებას

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ერთ-ერთი შემდეგი ტესტის ჩაბარება:

ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;

ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;

გ) ოსური ენის ტესტი;

დ) აფხაზური ენის ტესტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა დასაშვებია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- საქართველოს მოქალაქეებისთვის რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისთვის, რომლებიც ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში, აგრეთვე საჭადრაკო ოლიმპიადებში ოქროს მედალოსნები /ვერცხლის მედალოსნები/ბრინჯაოს მედალოსნები გახდებიან.

აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით - იხ. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის დებულება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები ენობრივად ენათა ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) მინიმუმ B2 დონეზე ისე, რომ მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება მათთვის სასურველ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. პროგრამის მიზანია, ასევე ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ სტუდენტმა შეძლოს: ● წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; ● სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); ● ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, აღქმა, დაფასება და პატივისცემა; ● ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად. პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. **ფლობს** კითხვის, წერის, ლაპარაკის და აქტიური მოსმენის ეფექტურ სტრატეგიებს.
2. **ათვისებული აქვს** ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად B2 დონის ლექსიკა და იცის შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციები.

უნარები

3. **შეუძლია** ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (პროფესიული მიზნებისთვის) ტექსტის მოსმენა, გაგება და ინტერპრეტაცია.
4. პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე თანმიმდევრულად **აყალიბებს აზრს** წერილობითი ფორმით.
5. **იყენებს** ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს.
6. დამოუკიდებლად **მოიძიებს** ინფორმაციას როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის / თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ღირებულებები

7. **ადგენს** ქართულ ენაზე საკუთარი სწავლის მიმართულებებსა და საჭიროებს.
8. **აღიქვამს** კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ.
9. **პატივს სცემს** დემოკრატიულ ღირებულებებს. **ჩამოყალიბებული აქვს** სამოქალაქო ცნობიერება.

სწავლა-სწავლების მეთოდები

ქართულ ენაში მოზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდებად გამოიყენება - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა (იხ. სილაბუსებში).
სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო კურსში კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება ხდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
ენის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები და სტრატეგიები გამოირჩევა მრავალფეროვნებით; გათვალისწინებულია ყველა იმ აპრობირებული მეთოდისა და მიდგომების გამოყენება, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს ენობრივი კომპეტენციების ამაღლების თვალსაზრისით:
სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს:

- ლექციები თვალსაჩინოებების (სქემები და სხვა გრაფიკული საშუალებები, ბანერები, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (აუდიო საშუალებები, კომპიუტერები) გამოყენებით);
- ვერბალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ჯგუფური მუშაობა;
- წყვილებში მუშაობა;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- წერითი დავალებები;
- აუდიო-ვიზუალური მეთოდი;
- ვიდეო მასალის განხილვა;
- დისკუსია, დებატები;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- შემთხვევის შესწავლა/ქეისი;
- მოდელირებული სიტუაციების განხილვა;
- სავარჯიშო და სხვ.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს, მიუთითოს და გამოიყენოს ის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კურსით დასახული მიზნის მიღწევას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

<u>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</u>

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

<u>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</u>

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დამატებით გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 60 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა ყველა საგანში შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 60 ქულის სულ მცირე 40%+1 (25 ქულა), რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 40 ქულის სულ მცირე 40% (16 ქულა).

დასაქმების სფეროები

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები დამატებითი გამოცდების გარეშე, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, სწავლას გააგრძელებენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.
ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას:

- აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები (პროექტორი, კომპიუტერი, მერხები, სკამები, დაფა, მარკერები);
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ);
- ტუტორები – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტები;
- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა სასწავლო ბაზა START, სტუდენტები ეცნობიან თავიანთ შეფასებას, პორტალი გამოიყენება სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ.
- აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე – აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

პროგრამა უზრუნველყოფილია მისი განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსებით.

ადამიანური რესურსები წარმოდგენილია ადგილობრივი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და წარმატებული გამოცდილება (იხ. დანართში).

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის – eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებშიც აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონურ რესურსებთან და ბაზებთან:

- BioOne Complete
- Royal Society Journals Collection
- Edward Elgar Publishing Journais and Development Studies e-books
- Sage Premier
- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Openedition Journals

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზებასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ

პროგრამა ხორციელდება პროგრამის სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლით. უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამის დაფინანსებას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდანაც კანონით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

დამატებითი ინფორმაცია
პროგრამას სრული დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია მოემსახუროს 60 სტუდენტს.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	წინაპირობა	სასწავლო კურსის სტატუსი	ECTS კრედიტების	საათების რაოდენობა	საათების განაწილება				კრედიტების რაოდენობა და განაწილება		განმახორციელებელი პირი
						ლექცია	სემინარი/პრაქტიკული	შუალედური და დასკვნითი გამოცდები	დამოუკიდებელი	სემესტრები		
										I	II	
	სასწავლო კურსები **60 კრედიტი**									30	30	
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2	–	სავ.	12	300	60	120	4	116	X		ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი ქეთევან ნიჟარაძე სვეტლანა ბერიკაშვილი
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_B1	–	სავ.	12	300	60	120	4	116			ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი ქეთევან ნიჟარაძე სვეტლანა ბერიკაშვილი

	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2	ქართული ენა A1_ A2	სავ.	12	300	60	120	4	116		X	ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი სვეტლანა ბერიკაშვილი რუსუდან ცინცაძე
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2	ქართული ენა – A2_B1	სავ.	12	300	60	120	4	116			ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი სვეტლანა ბერიკაშვილი რუსუდან ცინცაძე
	ინტეგრაცია 1	_	სავ.	**5**	**125**	15	30	3	77	X		სვეტლანა ბერიკაშვილი
	ინტეგრაცია 2	ინტეგრაციის კურსი 1	სავ.	5	125	15	30	3	77		X	სვეტლანა ბერიკაშვილი
	ენის კომუნიკაციური ასპექტები A1_A2	_	სავ.	5	125	-	45	3	77	X		ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი ასოც. პროფესორი მანანა გოშაძე
	ენის კომუნიკაციური ასპექტები A2_B1	_	სავ.	5	125	-	45	3	77			ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი ასოც. პროფესორი მანანა გოშაძე
	ფუნქციური წერა	ქართული ენა A1_ A2/ქართული ენა A2_ B1	სავ.	**5**	**125**	**15**	**30**	**3**	**77**		X	ქეთევან ნიჟარაძე
	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	_	სავ	4	100	15	30	3	52	X		ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი

	მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის	_	სავ.	4	100	-	45	3	52	X		ასოც. პროფესორი მანანა გოშაძე
	ქართული როგორც მეორე ენა ზოგადი სამედიცინო და სარეაბილოტაციო მიმართულებების სტუდენტებისთვის	ქართული ენა A1_ A2/ქართული ენა A2_ B1	არჩ.	4	100	-	45	3	52		X	ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა
	ქართული როგორც მეორე ენა სპორტის მიმართულებების სტუდენტებისთვის	ქართული ენა A1_ A2/ქართული ენა A2_ B1	არჩ.	4	100	-	45	3	52			ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა
	ქართული როგორც მეორე ენა ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებისთვის	ქართული ენა A1_ A2/ქართული ენა A2_ B1	არჩ.	4	100	-	45	3	52			ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა
	ქართული მითოლოგია ენის შესწავლისას	ქართული ენა A1_ A2/ქართული ენა A2_ B1	სავ.	4	100	-	45	3	52		X	ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

დანართი1

№	პროგრამის მიზანი	პროგრამის სწავლის შედეგები								
		1	2	3	4	5	6	7	8	9

	მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები ენობრივად ენათა ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) მინიმუმ B2 დონეზე ისე, რომ მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება მათთვის სასურველ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე	X	X	X	X	X	X			
	ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში.								X	X
	წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე	X	X	X	X	X	X			
	სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება)	X	X	X	X	X	X			
	ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, აღქმა, დაფასება და პატივისცემა								X	X
	ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად							X		

სწავლის შედეგების რუკა დანართი 2

სასწავლო კურსი უზრუნველყოფს: 1 - გაცნობას, 2- გაღრმავებას, 3-განმტკიცებას.

№	კურსის დასახელება	პროგრამის სწავლის შედეგები								
		1	2	3	4	5	6	7	8	9

	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2	1	1	1	1	1	1	1		
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_B1	1	1	1	1	1	1	1		
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2	2,3	2,3	2	2,3	2,3	2,3	2	1	
	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2	2,3	2,3	2	2,3	2,3	2,3	2	1	
	ინტეგრაცია 1		2	2	2	2	2		2	
	ინტეგრაცია 2		3	3	3	3	3		3	
	ენის კომუნიკაციური ასპექტები A1_A2	2	2	2	2	2	2			1,2
	ენის კომუნიკაციური ასპექტები A2_B1	2	2	2	2	2	2			1,2
	ფუნქციური წერა	3		3	3	3	3	3	2	
	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება				3		3		3	3
	მულტიმედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის	2		2						
	ქართული როგორც მეორე ენა ზოგადი სამედიცინო და სარეაბილიტაციო მიმართულებების სტუდენტებისთვის	3	3	3	3	3	3	3		
	ქართული როგორც მეორე ენა სპორტის მიმართულებების სტუდენტებისთვის	3	3	3	3	3	3	3		
	ქართული როგორც მეორე ენა ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებისთვის	3	3	3	3	3	3	3		

ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ დანართი 3

N	*გვარი, სახელი*	*აკადემიური თანამდებობა*	*აკადემიური ხარისხი*	*სასწავლო კურსები*
	ნესტან ეგეტაშვილი	ასოცირებული პროფესორი	ფილოლოგიის დოქტორი	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_B1; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2; ენის კომუნიკაციური ასპექტები A1_A2; ენის კომუნიკაციური ასპექტები A2_B1; ტოლერანტობა და მრავალფეროვნება; ქართული მითოლოგია ენის შესწავლისას;

	მანანა გოშაძე	ასოცირებული პროფესორი	ფილოლოგიის დოქტორი	ენის კომუნიკაციური ასპექტები A1_A2; ენის კომუნიკაციური ასპექტები A2_B1; მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის;
	მარიამ კილანავა	ასოცირებული პროფესორი	ფილოლოგიის დოქტორი	ქართული როგორც მეორე ენა ზოგადი სამედიცინო და სარეაბილოტაციო მიმართულებების სტუდენტებისთვის; ქართული როგორც მეორე ენა ბიზნესის მიმართულებების სტუდენტებისთვის; ქართული როგორც მეორე ენა სპორტის მიმართულებების სტუდენტებისთვის
	რუსუდან ცინცაძე	მოწვეული მასწავლებელი	ფილოლოგიის მაგისტრი	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2;
	სვეტლანა ბერიკაშვილი	მოწვეული მასწავლებელი	ფილოლოგიის დოქტორი	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_B1; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B1_B2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) B2; ინტეგრაცია 1, 2;
	ქეთევან ნიჟარაძე	მოწვეული მასწავლებელი	ფილოლოგიის დოქტორი	ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A1_A2; ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) A2_B1; ფუნქციური წერა;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (იხ. დანართი 4)